ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 306

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №197 პუნქტი.

2. ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №258 პუნქტი თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო

საქართველო
ქ. ქუთაისი
საქრებულო
№ 197
1 - 08 - 2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის
№306 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
258	არასაცხოვრებელი ფართი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №24	207,23	03.05.01.106.01.501	207 900.00	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენ[illegible]